თბილისის ეკლესიები და ოსმალური ვალდებულებანი «1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის» მიხედვით

ნოდარ შენგელია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა როგორც საქართველოს, ასევე ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მრავალი საკითხის გასარკვევად. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ასევე მეტად საყურადღებოა ისტორიის ისეთი საკითხების შესასწავლად, როგორიცაა ისტორიული გეოგრაფია, ტოპონიმიკა, ლინგვისტიკა, დიპლომატიკა, პალეოგრაფია და სხვა.

ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს შევისწავლოთ თბილისის ვილაიეთის შემადგენლობაში მყოფი ის ეკლესიები, რომლებიც დავთარშია მოხსენიებული. დავთარში შესულია ისეთი ეკლესიები, როგორიცაა ქუჩუქ მითეს, ფეთხაინის, სიჰაქის, მუღანის, ნორაშენის, შიბუნ გურჯიანის, კირთაქის, ჯიგრაშენის, სუთინ შაჰის, ანჩისხატის საკათალიკოსო ეკლესია, ვანქის, სუბსარქისის, კუდრას, ალემ კალემის, ამოს ეკლესიები.

ქვემოთ შევეცდებით განვიხილოთ თითოეული ეკლესია თავისი მრევლით და ყველა იმ მონაცემით, რომელიც მოცემულია თბილისის დავთარში. ცნობებს ამ ეკლესიებზე წინ უსწრებს მონაცემი ზარაფხანის შესახებ.

თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის გვერდებზე წარმოდგენილია 110 კომლი, რომელიც შედიოდა ზარაფხანის განკარგულებაში. ზარაფხანა თბილისის ციხის რაბათშია მოქცეული. სხვა მონაცემები ზარაფხანის თაობაზე არ გაგვაჩნია.

შემდეგ დასახელებულია ქუჩუქ მითეს ეკლესია. მასში წარმოდგენილია 85 კომლი. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია. არის სომხური, თათრული, ქართული სახელები, კერძოდ, არის არუთინა, გასპარ, სარქის, ოჰანესი, არაქელა, დავითი, ზურაბი, გიორგი, ზაალი, დანიელი, მანუჩარი და ა. შ.

შემდეგ დასახელებულია ფეთხაინის ეკლესია. მას ემსახურება 102 კომლი. ადგილობრივ მკვიდრთა ეროვნული შემადგენლობა ძალიან ჭრელია. აქ წარმოდგენილია მუსლიმური, სომხური, ქართული სახელები, იქვე მითითებულია, თუ რა ეროვნებისაა ესა თუ ის ოჯახი, ამა თუ იმ კომლს გაკეთებული აქვს სპეციალური ნიშანი „მ" მუსლიმი. იგი იმთავითვე გამორჩეულია. აქვეა სპეციალური ნიშანი, გაკეთებული ამა თუ იმ კომლისათვის იმის თაობაზე, არის თუ არა იგი ოჯახი; დაოჯახებულ კომლს გაკეთებული აქვს სპეციალური ნიშანი „ხანე", ე. ი. ეს კომლი დაოჯახებულია.

შემდეგ დავთარში რეგისტრირებულია სიჰაქის ეკლესია, რომელსაც ექვემდებარება 280 კომლი, მათგან ბევრია მუსლიმური ოჯახი, ასევე ბევრია დაქორწინებული ოჯახები და ჯერ შეუქმნელი ოჯახებიც. სიჰაქის ეკლესია საკმაოდ დიდი ჩანს. მრევლი საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

სიჰაქის ეკლესიას მოსდევს მუღანის ეკლესია. მუღანის ეკლესიაში წარმოდგენილია 111 კომლი. მუღანსაც საკმაოდ დიდი მრევლი ემსახურება. მუღანის შემდეგ წარმოდგენილია ნორაშენის ეკლესია. მასში გაერთიანებულია 355 კომლი. ნორაშენის ეკლესიას მოსდევს შიბუნ გურჯიანის ეკლესია. ისევე როგორც სხვა ეკლესიების შემთხვევაში, აქაც წარმოდგენილია მუსლიმური ოჯახები, მათი რაოდენობა შეადგენს 360 კომლს. საკმაოდ დიდი სოფელია გაერთიანებული ხსენებულ ეკლესიასთან. როგორც აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაშიც მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია. არიან მუსლიმები, ქრისტიანები. იქვეა დასახელებული მომცრო ეკლესია

– კირთაქის, რომლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 65-ს. ამ შემთხვევაშიც არიან მუსლიმები და ქრისტიანები. კირთაქის ეკლესიას მოსდევს ჯიგრაშენის ეკლესია. მასში გაერთიანებულია 585 კომლი. იგი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეგიონია. ამ შემთხვევაშიც არის სპეციალური მინიშნებები იმის შესახებ, ესა თუ ის კომლი მუსლიმურია თუ არა. არის თუ არა ოჯახი შექმნილი, ანდა ჯერ არ არის შექმნილი. მოსახლეობა არის ქართული, სომხური და თათრული. შეიძლება ითქვას, ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან ჭრელია.

შემდეგია სუთინ შაჰის ეკლესია. მასში წარმოდგენილია სხვადასხვა ეროვნების ხალხი. სულ ამ ეკლესიასთან გაერთიანებულია 294 კომლი. საკმაოდ დიდი გაერთიანებაა. ხსენებულ ეკლესიას მოსდევს ანჩისხატის საკათალიკოსო ეკლესია. იგი წარმოდგენილია 155 კომლით. ანჩისხატის ეკლესიაში არის მუსლიმური ოჯახები, სრული არეულობაა რელიგიური თვალსაზრისით. საკმაოდ მომცრო გაერთიანებაა.

შემდეგ წარმოდგენილია დერჰა რაჰის ეკლესია, მასში გაერთიანებულია 55 კომლი. ძალიან პატარა წარმონაქმნია. მას მოსდევს ვანქის ეკლესია. ვანქის ეკლესიაში გაერთიანებულია სულ 16 კომლი. ვანქის ეკლესია ყველაზე პატარაა სხვა ეკლესიათა შორის. მაგ მოსდევს სუბსარქის ეკლესია, რომელშიც წარმოდგენილია 333 კომლი.

ხაენებულ ეკლესიას მოსდევს კუდრას ეკლესია, რომელშიც წარმოდგენილია 20 კომლი. ამ ეკლესიაში არაა არც ერთი მუსლიმური ოჯახი. ჩანს, რომ ძალიან პატარა სოფელია.

შემდეგია ველზე არსებული ალემ კალემის ეკლესია. ამ ეკლესიასთანაც არ არის არც ერთი მუსლიმური გაერთიანება. აქ სულ წარმოდგენილია 52 ოჯახი. დაბოლოს, ამოს ეკლესია, აქ წარმოდგენილია 90 კომლი.

ასეთია ძალიან მოკლედ თბილისის ვილაიეთში არსებული ეკლესიების მოსახლეობის განლაგება, აქ წარმოვადგინეთ მხოლოდ თბილისში არსებულ კომლთა რაოდენობა. დავთარში ფართოდაა აღწერილი მთელს აღმოსავლეთ საქართველოში არსებული სოფლების

დაწვრილებითი აღწერილობა, მოცემულია თითოეული სოფლის სახელწოდება თავისი საზღვრებითა და მიმდებარე ადგილებით.

ქვემოთ განვიხილავთ იმ მიწის ნაკვეთებს, ჩამონაჭრებს, რომლებიც არსებობდა თბილისის შემოგარენში.

თბილისის მიწის ნაკვეთებზე, შემოსავალი ბაჟებსა და აბრეშუმზე ჯამი გადასახდელია 1440000.

გადასახადი სამეუფეო ხასზე, მის სასწორებზე, გადასახადი ქილაზე და ყანთარზე – 86400 ახჩა.

შემოსავალი თბილისის ხასზე დაახლოებით 18000 ახჩაა.

შემოსავალი თბილისის სამღებროზე 108000-ია, მისი წილი – 21800 ახჩა.

აქვეა გადასახადი სამეუფეო ხასებზე ვაკუფების ხარჯის გამორიცხვით. შემოსავალი ხასზე თბილისის ვილაიეთზე მეხუთედის სახით – 72000. აქვეა გადასახადი ხასების შემოსავალზე, გამხმარ თევზზე, თამბაქოზე და ხილზე – 96000 ახჩას ოდენობით.

შემოსავალი ხასებზე დაწესებული ბაჟები ბაზარზე გასაყიდ ცხენზე, ტყვეებზე – 12000 ახჩა.

შემოსავალი ხასებზე კირით აგებულ სახლებზე, კრამიტით დახურულ სახლებზე და გარკვეული კატეგორიის სახლებზე გადასახადია 12000 ახჩა. წილი მათზე 3000 – 9000 სავაკუფო ჯამის ხასები (თბილისის ვილაიეთის ვრცელი დავთარი, ნ. I. გვ. 73).

აქვეა შემოსავალი ხასებზე, მტკვარზე დაჭერილ თევზზე – 3000 ახჩა. შემოსავალი ხასებზე ყასაბთა მეთაურებზე შეწერილი გადასახადი – 9600 ახჩა. აქვეა სახასო შემოსავალზე – ბორანზე დაწესებული გადასახადი, რეგისტრირებულია 8400 ახჩას ოდენობით. ასევე დადგენილია სახასო შემოსავალი ბაღებსა და ვენახებზე თბილისის შემოგარენში 18000 ახჩას ოდენობით.

დადგენილია სამეუფეო გადასახადი წისქვილზე, მდინარე მტკვარზე, წყლის კარიბჭესთან, თბილისის ოთხ კართან – 480 ახჩას ოდენობით. აქვეა სამეუფეო ხასების ზარბაზნებზე გადასახადი, 100000 ახჩას ოდენობით (დავთარი, გვ. 73).

ზემოხსენებული გადასახადები ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იყო დაბეგრილი ქალაქის მოსახლეობა სხვადასხვა გამოსაღებითა

და ვალდებულებებით. აშკარად ჩანს, თუ რა დიდი ოდენობის გადასახადით იყო დაბეგრილი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა. ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით.

ქვემოთ შევეცდებით საკმაოდ ფართოდ წარმოვაჩინოთ ის ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები, რომლებიც თბილისის შემოგარენშია ფიქსირებული.

„დავთარში" ძალიან ფართოდაა წარმოდგენილი ის ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი, რომლებიც მეთოდურად, სისტემატურად ინერგებოდა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში. დავთარში საგანგებოდაა აღწერილი თითოეული სოფელი, მათზე გაწერილი ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი. ოსმალთა ხელისუფლების მიერ აღწერილი თითოეული სოფელი დაბეგრილია ოცამდე გადასახადით და ვალდებულებით. ჩვენ მხოლოდ შევეხებით იმ ვალდებულებებსა და საქალაქო გადასახადებს, რომლებიც ფიქსირებულია თბილისის ვილაიეთის ვრცელ დავთარში.

„თბილისის ვილაიეთის ვრცელ დავთარში" ჩამოთვლილია ის ვალდებულებანი, რომლებიც ქალაქის მოსახლეობას ემართა, საამისოდ ქალაქის მთელი ტერიტორია დაყოფილი იყო ხასებად და სხვა მიწისმფლობელობის ერთეულებად. ყოველ მათგანზე შეწერილი იყო შესაბამისი გადასახადი და ვალდებულება. ყველა ადმინისტრაციული სამოხელეო თანამდებობა დაბეგრილი იყო შესაბამისი გადასახადებითა და ვალდებულებებით როგორც ქალაქად, ასევე სოფლადაც. ამის უტყუარი მაგალითია თბილისის ვილაიეთში წარმოდგენილი ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი.

მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი დაბეგრილნი იყვნენ ყოველგვარი ოსმალური გადასახადებითა და ვალდებულებებით. ქალაქის მოსახლეობა იხდიდა მეჩეთებსა და ეკლესიებში დაწესებულ უამრავ გადასახადსა და ვალდებულებას. მათ მემამულეებსა და ხასებზე შეწერილი იყო უამრავი გადასახადი. ქალაქში მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთებიც დაბეგრილი იყო შესაბამისი საოსმალო გადასახადებითა და ვალდებულებებით.

გადასახადები შეწერილია თბილისის მირმირანის ხასებზე. დადგენილია გადასახადები ბაჟების სახით ბაზარზე გასატან საქონელზე. მათ შემოსავალზე 10000 ახჩაა შეწერილი. აქვეა შეწერილი გადასახადი თბილისის მირმირანის ხასზე ისფენჯი გაბრანის სახით. მისი შემოსავალია 440760 ახჩა. ისფენჯი გაბრანი იგივეა, რაც ჯიზია გაბრანი. ეს გადასახადი ცნობილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. შემდეგ გადასახადი გაწერილია მქადაგებელთა თავკაცის შემოსავალზე თბილისში, რომელიც 10000 ახჩას შეადგენს.

თბილისის ასასების მეთაურის შემოსავალზე შეწერილია 3000 ახჩა, თბილისის სუბაშების მეთაურის შემოსავალზე – 12000 ახჩა. აქ იგულისხმება საპოლიციო სამსახურის მეთაური. გადასახადი შეწერილია თაფლის დასამზადებელ სახლებზე, ერბოზე, სასაკლაოებზე, დადგენილი იყო თბილისის ხაზინის ყოველწლიური გადასახადი. იგი ემართა თბილისის მცველ დიდებულ ვეზირს ისჰაკ ფაშას, პატიოსანი ჯამეს მუთეველის, რომელსაც ნაღდი თანხით უნდა გადაეხადა. მათი გადასახადის ოდენობა ყოველწლიურად შეადგენდა 3000 ახჩას (დავთარი, გვ. 74).

თბილისის ხასის მირმირანს ემართა გადასახადები შემოსავალზე, ბადჰავაზე, ჯურუმ ვე ჯინაიეთ, საქორწინო გადასახადი და გაბრანი ქალაქ თბილისში. ასევე უნდა გადაეხადათ „დიმე დიეთი", ნახევარი ბადჰავას გადასახადი. აქვე წარმოდგენილია მთელი რიგი გადასახადები, რომელთა გაღება მართებდა თბილისის ახლომდებარე რეგიონების მეთაურებს (დავთარი, გვ. 74).

გაწერილი იყო გადასახადი სახაზინო ქონებაზეც, ბეითალმალიზე, ამესა და ხასეს, თბილისის შემოსავლის გადასახადი, იგი 12000 ახჩას შეადგენდა. აქვეა ავლაბარზე გაწერილი გადასახადი 2000 ახჩას ოდენობით. თბილისის მირმირანის ხასზე გაწერილია გადასახადი, თაფლის ხასის თითოეულ ოყაზე – ოთხ-ოთხი ახჩა, ერბოზე ყოველი ოყიდან ორ-ორი ახჩა, მირმირანის ხასიდან. საერთო შემოსავლიდან 14000 ახჩა გადახდება (დავთარი, გვ. 74).

1138 წელს, ქეშიშის აბანოს ხასის მფლობელის, სეიდ აზადის გადასახადი წელიწადში 24000 ახჩას, ხოლო თბილისის ციხის მეორე

აბანოს მფლობელის გადასახადი 14400 ახჩას შეადგენდა (დავთარი, გვ. 75).

გადასახადები შეწერილია აგრეთვე თბილისის ცალკეულ უბნებზეც. კერძოდ, დიდუბეზე. ნყაროში ვკითხულობთ: სოფელი დიდუბე ექვემდებარება თბილისს, გადასახადი შეწერილია 54820 ახჩას ოდენობით (დავთარი, გვ. 75).

თბილისის ციხის გარეუბანში გაშენებულ დუქნებზე საიჯარო გადასახადია შეწერილი. თბილისის კარებთან სულ 30 დუქანია. ნელიწადში მათზე 7560 ახჩაა გაწერილი.

თბილისის ციხეში ხაბაზებზე წელიწადში 5390 ახჩაა შეწერილი (დავთარი, გვ. 75). არის უამრავი გადასახადი, შეწერილი ადგილობრივ მოსახლეობაზე. არის მთელი რიგი თანამდებობები, რომელთაც ეძლევათ გარკვეული ოდენობის გადასახადები. მაგალითად, არის გადასახადები, გაწერილი მუსლიმური ჯამეს სხვადასხვა მსახურებზე: მუდერისზე, ვაიზზე, მეკარეებზე, დურხუვანზე და სხვა მრავალზე (დავთარი, გვ. 75-76).

დავთარში თბილისის გარშემო არსებული ეკლესიების თაობაზე საკმაოდ ვრცელი ინფორმაციაა დაცული, კერძოდ, აქ საუბარია იმ მრავალრიცხოვან გადასახადებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც ემართა ქალაქის მოსახლეობას. მოსახლეობა ვალდებული იყო, გადაეხადა ეს მრავალმხრივი გადასახადები და ვალდებულებანი. აქ ჩამოთვლილია ყველა ის რელიგიური სახელოები, რომლებიც ოსმალებმა შემოიტანეს თბილისში მეჩეთების შემოღებასთან დაკავშირებით.

ოსმალობის შემოღებით საქართველოში შემოდიოდა ყველა ის ფეოდალური ინსტიტუტი, რომელიც საკუთრივ ოსმალეთში არსებობდა. არ დარჩენილა არც ერთი რელიგიური სახელო, რომელიც ოსმალებს არ შემოეღოთ საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისში არსებული ვითარება. აშკარაა, რომ ისინი ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ ცალკეულ ოსმალურ ინსტიტუტებს.

შემდეგ დავთარში საუბარია სხვადასხვა ხარჯზე ხსენებულ ჯამეში. მითითებულია, რომ წელიწადში პატიოსანი ჯამეს რემონტისთვის გადასახდელია სულ 2000 ახჩა. ასევე რეგისტრირებულია,

რომ თაფლის სანთელზე ყოველთვიურად დაწესებულია 215 ოყა. თითოეული იხდის 2 ახჩას. სულ გადასახდელია 900 ახჩა. ასევე დაწესებულია გადასახადი კანდელებისათვის, ჯამესა და მინარეთებისათვის ნელინადში გადასახდელია 150 ოყა. თითოეული იხდის 20-ს. სულ გადასახდელია 4500 ახჩა.

დადგენილი იყო აგრეთვე გადასახადი გამყიდველებისათვის. ნელინადში მათზე იყო შეწერილი 1000 ახჩა. ასევე დაზუსტებული იყო გადასახადი ცოცხზე, განახლებულ კანდელებზე ნელინადში 1000 ახჩას ოდენობით.

საერთო ჯამი იყო 11400 ახჩა.

ვაკუფის საერთო შემოსავალი იყო 12118 ახჩა.

ჯამეს მსახურთათვის დაწესებული გადასახადები მითითებულია დავთარში, დავთარში რეგისტრირებულია აგრეთვე ის სავაკუფო ტერიტორიები, რომლებიც თბილისის შემოგარენში არსებობდა. თბილისის თითოეულ კართან არსებობდა სპეციალური გადასახადი. ასე მაგალითად, დაწესებული იყო გადასახადი განჯის კარებთან.

ასევე იყო დაწესებული გადასახადები საბარათიანოშიც. მაგალითად, საბარათიანოს მკვიდრთ, სოფელ ბაჰადირის მოსახლეობას ემართა გადასახადი ნელინადში 2500 ახჩა. გადასახადი შეწერილი იყო აგრეთვე სამღებროებზე. იგი ნელინადში 59520 ახჩას შეადგენდა. საბარათიანოში არსებულ ჩიფთლიქებსაც ემართათ გარკვეული გადასახადი. მაგალითად, ვინმე ელ ჰაჯ იბრაჰიმის მფლობელობაში მყოფი ჩიფთლიქი, რომელიც ექვემდებარება საბარათიანოს, ნელინადში იხდის 5000 ახჩას.

ასევე იხდის გარკვეულ გადასახადებს ავლაბრის ციხის აზაბანი იბრაჰიმ აღა, რაც ნელინადში 500 ახჩას შეადგენს.

აქვე მითითებულია გავერანებული ადგილებიც, რომელთაც მართებთ აგრეთვე გარკვეული გადასახადების გაღება. ასეთია, მაგალითად, ყიზილბაშთა ემინის სახლი, ცარიელი მიწების კატეგორიები გადაეცემოდათ ჯამეს მსახურთ. ეს მიწები ეძლეოდათ მუსლიმ მსახურებს გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ. დავთარში საუბარია მიწის ნაკვეთზე, რომელიც რეჯებ ფაშას ებოძა ვაკუფის სახით, იგი მას მიეცა ვინმე მუთეველის ხელით. მასზე შეწერილი იყო გა-

დასახადი 50,5 ყურუშის სახით. გადასახადთა საერთო რაოდენობა იყო 6000 ახჩა. სულ გადასახდელი იყო საკმაოდ დიდი ოდენობის თანხა: 70620
06000

76620 ახჩა.

ვინმე აბულქერიმ ვაიზი იხდიდა დღეში 20 ახჩას. აქ ჩამოთვლილია ის თანხა, რომელიც ებოძა მეჩეთის მსახურთ. კერძოდ, სავაკუფო ქონების მეურვედ დაინიშნა ვინმე აბდულქერიმი, რომელსაც დღეში ჰქონდა გასამრჯელო 16 ახჩა. საქათიბოს მსახურს ეძლეოდა 15 ახჩა დღეში, საიმამოს თანამშრომელს – დღეში 25 ახჩა. ზედამხედველს – 8 ახჩა. იყო აგრეთვე ჯაბის გადასახადი 8 ახჩას ოდენობით. მეკარეებს დღეში ჰქონდათ 10 ახჩა. ფერაშის დღიური სარგო იყო 5 ახჩა. პირველი მუვედის დღიური სარგო იყო 10 ახჩა, მეორისა კი 7 ახჩა. კასიმებს დღეში ჰქონდათ 5 ახჩა. თითო დურხუვანს ეძლეოდა 4 ახჩა დღეში.

საერთოდ დღეში იხარჯებოდა 118 ახჩა. წელიწადში კი 41652 ახჩა.

ჯამეს შეკეთებისათვის წელიწადში იხარჯებოდა 1500 ახჩა. აქვე მითითებულია გადასახადი თაფლის სანთელზე, რაზეც სულ იხარჯებოდა 1400 ახჩა.

როგორც ჩანს, დავთარში არაერთგზისაა მითითებული გადასახადები თაფლის სანთელზე, კანდელებზე, ჯამეს მინარეთებზე, ასევეა გადასახადები გაწერილი ცოცხებზე. გარდა ამისა, გადასახადები იყო დაწესებული სარემონტო სამუშაოებზე, მათი ოდენობა იყო 1200 ახჩა წელიწადში. ჯამეს საერთო ხარჯები შეადგენს 49452 ახჩას. აქვეა მითითებული საერთო გადასახადი ვაკუფებზე. მისი ოდენობაა 1138 ახჩა (დავთარი, გვ. 77).

აქვეა საუბარი ვაკუფების ბოძების თაობაზე სხვადასხვა პირისათვის. ვაკუფები ეძლეოდათ მაღალი თანამდებობის პირებს, წარჩინებულებს, ვეზირებს, ფაშებს. აქვეა ცნობა სამლებროების მუქათაას წესით გაბოძების თაობაზე. ამ გადასახადის ოდენობა 3500 ახჩას შეადგენდა. ასევე გაიცემოდა გადასახადი მუქათაას სახით მუთევილის მიერ ყოველნლიურად 9600 ახჩას ოდენობით (დავთარი, გვ. 77).

ჯამეს საერთო ხარჯი შეადგენდა 39980 ახჩას. ასევე იყო დადგენილი ვალდებულება მოსახლეობისა ხსენებულ ჯამეში. დავთარში საგანგებოდაა ჩამოთვლილი ცალკეული სახელოები, რომლებზეც შეიძლებოდა გადასახადის შენერა.

ჯამეს სახათიბოს ემართა გადასახადის გადახდა დღეში ხუთი ახჩას ოდენობით. ასევე იყო დადგენილი გადასახადი ვინმე აბდულქერიმისთვის დღეში 15 ახჩას ოდენობით. პირველი მუეძინი იღებდა დღეში 7 ახჩას. მეორე მუეძინი კი ხუთ ახჩას. კაიმაკამი იღებდა დღეში 2 ახჩას. დურხუვანი კი იღებდა ორ ახჩას. ასევე დაწესებული იყო გადასახადი ონკანის მსახურებისათვის. მეკარეებსაც ეძლეოდათ გადასახადი დღეში 5 ახჩას ოდენობით. მათზე საერთოდ დაწესებული იყო გადასახადი 20178 ახჩა (დავთარი, გვ. 78).

დავთარში საუბარია ჯამეს ხარჯებზე. შემდეგ ჯამეს სარემონტო სამუშაოებზე. იხარჯება 1000 ახჩა. დავთარში საუბარია აგრეთვე ნელინადში თაფლის სანთელზე დასახარჯი თანხის თაობაზე. იგი შეადგენს 1000 ახჩას. ნყაროში საუბარია კვლავ თაფლის ცვილზე, რომელზეც ნელინადში იხარჯება 900 ახჩა. შემდეგ დავინყებული არაა გადასახადი სანთლის ზეთზე, კანდელებზე, ჯამეს მინარეთზე, რომელზეც ნლიურად იხარჯება 3000 ახჩა.

ჯამეს საერთო ხარჯია 26978 ახჩა. აქვეა დაწვრილებით საუბარი ჯამეს მსახურთა თაობაზე. სახათიბოზე, რომლის დღიური შემოსავალია 4 ახჩა. საიმამოს შემოსავალი კი – 9 ახჩაა. მუეძინის შემოსავალი კი დღეში 5 ახჩაა. დურხუვანი კი იღებს 5 ახჩას (დავთარი, გვ. 78).

სხვადასხვა ჯამეში ყოველნლიურად იცვლებოდა გადასახადთა ოდენობა. ერთ-ერთ ჯამეში საერთო ხარჯია 11982 ახჩა. გარკვეულ ჯამეებში გაცემულია ვაკუფები, ზოგან ვაკუფები მოჭარბებულადაა გაცემული. პატიოსან ჯამესა და მედრესეს მეთვალყურეს ევალებოდა გარკვეული ოდენობის გადასახადის გაღება. თბილისში გაწერილია ოთხ კარზე გადასახადი. დოკუმენტი დაინერა 1140 ნლის რეჯებს[1].

1140 ნლის რეჯები = 1728 ნლის 12 თებერვლიდან 1728 ნლის 13 მარტამდე.

დავთარში მითითებულია რაბათის კედლის გადასახადი, ხარჯი გორის ციხეში 25 ახჩას ოდენობით. ნელიწადში გადასახდელი იჯარა 200 ყურუშის ოდენობისაა. დავთარში რეგისტრირებულია დუქნები, მათზე შენერილი გადასახადებით, რაც 180 ყურუშია ნელიწადში.

დავთარში ჩამოთვლილია გადასახადები, დანესებული ყასბებზე, ნელიწადში 21600 ახჩას ოდენობით. აქვეა საუბარი დაბაღხანეს (მეტყავეების დუქნების) თაობაზე. მათი რაოდენობა სულ შვიდია. მათზე შენერილი იყო ნელიწადში 64800 ახჩას გადახდა.

დავთრის მიხედვით გადასახადები განერილია შეიხებზე, მათ ევალებოდათ გაეღოთ დღეში 30 ახჩა. ამდენივე ემართათ მუდერისებსაც, სახატიბოების გადასახადი იყო 20 ახჩა დღეში. საიმამოების გადასახადი იყო დღეში 40 ახჩა. სავაკუფო ქონებაზე კი დანესებული იყო გადასახადი 20 ახჩას ოდენობით. საქათიბოს გადასახადი იყო 10 ახჩა. საზედამხედველო დანესებულებებში გადასახადი იყო დანესებული 10 ახჩას ოდენობით დღეში. პირველი მუეძინის გადასახადი იყო 15 ახჩა. მეორე მუეძინისა – 10 ახჩა. ხოლო მესამე მუეძინისა კი – 5 ახჩა. მინარეთებზე კანდელების გადასახადი იყო 10 ახჩა. დურხუვანის გადასახადი იყო 10 ახჩა. ფერაშისა – 2 ახჩა. მეკარის გადასახადი იყო 10 ახჩა (დავთარი, გვ. 79). ნელიწადში ჯამეს გადასახადი იყო 106230 ახჩა. დავთარში არის აგრეთვე მონაცემები სხვა ხარჯების თაობაზე. ჯამეს სარემონტო სამუშაოებისათვის საჭიროა ნელიწადში 2000 ახჩა. შემდეგ ჩამოთვლილია გამოსაღებები: სანთელზე, თაფლის ცვილზე, მინარეთის კანდელებზე, ეს სხვადასხვა ხარჯი შეადგენს ნელიწადში 150 ოყას და 4500 ახჩას. ჯამი შერიფის ხარჯებისა ნელიწადში 1000 ახჩაა. საერთო ჯამია 10400 ახჩა (დავთარი, გვ. 80).

დავთარში დასახელებულია მთელი რიგი სოფლები, რომლებიც ექვემდებარება ავლაბარს და მათზეცაა განერილი გარკვეული ოდენობის გამოსაღები. ეს სოფელია, მაგალითად, ნასაკური, რომელიც ცარიელია მოსახლეობისაგან, ამ სოფელშია სავაკუფო მიწა, რომლის დღიური გადასახადია 150 ახჩა. ჯამი მარცვლეულისა გადასახადია 2000 ახჩა. ასევეა დასახელებული სოფელი ბორბალო, ეს სოფელიც ცარიელია მოსახლეობისგან. აქვეა სავაკუფო მიწა, რომლის დღიური

შემოსავალია 150 ახჩა. ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან – 200 ახჩა. ასევეა სოფელი კუმისიც. მისი შემოსავალია მარცვლეულისა და სხვათაგან 2000 ახჩა. ამ სოფელში სავაკუფო მინაა, რომლის დღიური შემოსავალია 150 ახჩა.

ასევეა სოფელი შავერდი. ეს სოფელი ცარიელია მოსახლეობისაგან, მხოლოდ სავაკუფო მინაა, რომლის დღიური შემოსავალია 150 ახჩა. ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000 ახჩაა. სოფელ გუნდა ქარსის სავაკუფო მინის დღიური შემოსავალია 150 ახჩა. ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000 ახჩაა.

სოფელი ნავთლული ცარიელია სავაკუფო მიწისაგან, მისი დღიური შემოსავალია 150 ახჩა. მისი ჯამია მარცვლეულისა და სხვათაგან 2500 ახჩა.

სოფელი ბაქილ ქენდი სავაკუფო მიწისაგან ცარიელია, დღიურად იხდის 150 ახჩას. ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 2000 ახჩა.

ასევეა სოფელი არაშენდა, რომელიც ცარიელია სავაკუფო მიწისაგან, მისი დღიური შემოსავალია 50 ახჩა. შემოსავალი მარცვლეულისა და სხვათაგან – 3000 ახჩა.

ასევეა სოფელი ჩულურეთი, იგი ახლოსაა კუკიის მოსახლეობასთან. ამ სოფლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 13-ს. აქვეა დასახელებული, თუ ვის მფლობელობაშია კუკიის მიწები, ვენახები, მისი მფლობელია დანიელ მელქოს ძე. იგი თბილისში ცხოვრობს, აქვს ოთხი ვენახი, წისქვილი (დავთარი, გვ. 81).

დავთრის ამავე გვერდზეა ჩამოთვლილი ის გადასახადები და ვალდებულებანი, რომლებიც თბილისის მკვიდრთ ემართათ. ასეთი გადასახადებია: ისფენჯი, ცხვრის გადასახადი, თაფუსა და მინის გადასახადი, დეშთიბანის გადასახადი, მეათედის გადასახადი, საქორნინო გადასახადი, გადასახადი წისქვილზე, ნახევარი ბადჰავას გადასახადი და სხვა, რომელთა ოდენობაა 4000 ახჩა.

დავთარში იქვეა მოყვანილი ადგილები, რომლებიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ცალკეულ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს, მდინარეებს, ღელეებს, ხეობებს და სხვა. აშკარად გამოკვეთილი ნიშნებია წარდგენილი დავთარში (დავთარი, გვ. 82).

შემდეგ დავთარში საუბარია სოფელ დიდუბეზე, თავისი კომლთა რაოდენობით და არსებული ვალდებულებებით. დიდუბესთან დაკავშირებით საუბარია მის შემოგარენზე, იქვე მყოფ ადგილებზე. დიდუბეში წარმოდგენილია 32 კომლი. აქვეა სავაკუფო მიწის დღიური 250 ახჩას ოდენობით. აქვეა საუბარი ჯამეზე მარცვლეულსა და სხვაზე. აქვეა ჩამოთვლილი გადასახადები, მიწერილი აქვს გარკვეული ოდენობის თანხაც. საუბარია ისფენჯზე, ცხვრის გადასახადზე, თაფუს გადასახადზე, დეშთიბანის გადასახადზე, ერბოს გადასახადზე, სკაზე, საქორწინო გადასახადზე, ბადიჰავას გადასახადზე და სხვადასხვა სახის ჯარიმაზე: ჯურუმ ჯინაიეთზე, იავასა და კაჩკუნზე, ბეით ალ მალის გადასახადზე, მალი გაიფის გადასახადზე, მალი მეფკუდის გადასახადზე და ა. შ. მათი ოდენობა შეადგენს 54820 ახჩას.

შემდეგი სოფელია ლილო, იგი ახლოსაა ალუსთან, ცარიელია მოსახლეობისაგან, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან შეადგენს 5280 ახჩას.

ცალკე განხილულია ავლაბრის რაბათი, მასში წარმოდგენილია 86 კომლი. ბოლოს საუბარია ჯამზე მარცვლეულსა და სხვაზე. აქვეა დასახელებული ისფენჯის გადასახადი და სხვა შემოსავლები, მათი საერთო ჯამია 15000 ახჩა.

აქვეა საუბარი თბილისის ციხის ზემო ნაწილში მდებარე მედრესესა და ჯამეზე, აგრეთვე ავლაბრის ხიდთან მდებარე მედრესეზე. ამ დაწესებულების მფლობელია დიდი მამულისა და თანამდებობის მფლობელი – ჰასქის პატრონი ილ ჰაჯ ალი აღა, იგი ამავე დროს თბილისის აღაცაა. დოკუმენტი შედგენილია 15 რეჯებს 1140 წლისა[1].

აქვე საუბარია ილჩეს აბანოზე, რომელიც იჯარითაა გაცემული. მას ერთი კარი აქვს. მასზე შენერილია გადასახადი 86400 ახჩა.

აქვეა ჩამოთვლილი ის რელიგიური სახელოები, რომლებზეც შენერილია ოსმალური გადასახადები. ესენია: სახათიბო, საიმამო, მათ ეძლევა გასამრჯელო 10 ახჩას ოდენობით. პირველ და მეორე

1140 წლის 15 რეჯები = 1728 წლის 26 თებერვალს.

მუეძინებს კი ეძლევათ 8-8 ახჩა. ფერაშის გასამრჯელოა დღეში სამი ახჩა. დურხუვანს ეძლევა ორი ახჩა. მედრესეს მსახური მასწავლებლის დამხმარე პირს ეძლევა დღეში 10 ახჩა. მედრესესათვის განკუთვნილი ხარჯია მთელი ნლით 58320 ახჩა.

მთელი ნლით მუთეველის ხელით გაიღება ვაკუფის თანხა 14400 ახჩა. ჯამეს თაფლის სანთელზე გაიცემა 10 ოყა. 120 ახჩას ოდენობით. ჯამეს სარემონტო საქმიანობისათვის გაიღება მთელი ნლით 1500 ახჩა. მედრესეს ნყლის მეურნეობის მოსაწესრიგებლად ნელინადში იხარჯება 2000 ახჩა.

აქვეა ცნობა ჩილდირის ვილაიეთის ოლთის ციხის მედრესეს ყადის – ომერ ეფენდისათვის შეწერილი გადასახადის თაობაზე მთელი ნლით 3680 ახჩა. აქვეა გათვალისწინებული თანხა ილიჩეს აბანოს რემონტისათვის, მთელი ნლის განმავლობაში 2000 ახჩა. საერთოდ მედრესესათვის გამოყოფილი თანხა 86400 ახჩას შეადგენს.

შემდეგ საუბარია თბილისის ნაჰიეზე აღნიშნულ ლივაში. აქვეა მოყვანილი ცნობა ვაკუფის თაობაზე, ინფორმაცია თბილისის ციხეში პატიოსანი ჯამესა და ავლაბრის ციხეში არსებული მედრესეს შესახებ. თბილისის აღაა ჰასქი ელ ჰაჯ ალი აღა. იგი გაინერა მომდევნო ნელს, კერძოდ 1141 ნლის რები ულ ახირის დასაწყისში[1]. აქვეა საუბარი იმავე ილჩეს აბანოზე, რომელიც მუშაობს მთელი ნლით და მასზე შეწერილია 97920 ახჩა.

ამ მომდევნო ნელსაც განერილია გადასახადები:

ხალილ ეფენდის მედრესეზე დღეში 40 ახჩა. აბდულ ქერიმზე 10 ახჩა. ომერის სახათიბოზე 10 ახჩა. ომერ ეფენდის საიმამოზე 15 ახჩა. პირველ და მეორე მუეძინზე 8-8 ახჩა. დურხუვანზე – 2 ახჩა. ფერაშზე – და სხვა ვალდებულებანი იყო განეული მეჩეთის მსახურებზე (დავთარი, გვ. 83).

მუთეველის ხელით გაიღებოდა გადასახადები ვაკუფებზე 14400 ახჩას ოდენობით. ეს გადასახადი იყო ჩილდირის ვილაიეთში ოლთის ციხეში. ვაკუფის გადასახადს იხდიდა მუთეველი 3600 ახჩის ოდე-

---

1141 ნლის რები ულ ახირის დასაწყისი = 1728 ნლის 4 თებერვალს.

ნობით. აქვე იყო გადასახადი, გაწერილი ხორბალზე, თაფლის სანთელზე, ცვილზე, ზეთზე, გაიღებოდა თანხები ჯამეს რემონტისათვის, ონკანების შეკეთებაზე, ილიჯეს აბანოს შესაკეთებლად და სხვა მრავალი ხარჯისათვის, საერთო ჯამია 97920 (დავთარი, გვ. 84).

თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარს თან ახლავს წესდება, რომლის მიხედვით დადგენილია, თუ რა თანხას იღებს ესა თუ ის მსახური მეჩეთში. აქვეა სპეციალური ნუსხა, რომლის მიხედვით განაწილებულია თანხები მეჩეთის თითოეულ მსახურზე. იქნება ეს დურხუვანი, იმამი თუ რომელიც გნებავთ რიგითი მსახური მეჩეთისა. ამ განაწესის მიხედვით იღებს გასამრჯელოს ჯამეს თითოეული მსახური. ყველაფერი რეგლამენტირებულია და დადგენილი. აქვე ჩამოთვლილია ვრცელი სია იმ ვალდებულებებისა, რომლებიც იყო დაწესებული მეჩეთში.

ამრიგად, ჩვენ ძალიან მოკლედ განვიხილეთ ის ეკლესიები და ოსმალური ვალდებულებანი, რომლებიც ოსმალო ხელისუფლებმა დანერგეს XVIII საუკუნის 20-იან წლებში. ჩამოთვლილია ყველა ეკლესია, რომელიც საგანგებოდ აღწერეს დამპყრობლებმა და შეადგინეს „თბილისის ვილაიეთის ვრცელი დავთარი". ყველა ეკლესიას თავისი მრევლი ჰყავდა, ჰქონდა თავისი შემოსავალი და გასავალი, ოსმალო დამპყრობლებმა მაინც ვერ მოახერხეს ეკლესიების საბოლოო გაუქმება, მაგრამ მათ გვერდით არსებობას ინყებს ოსმალური რელიგიური საკულტო დაწესებულებანი, კერძოდ მეჩეთები. მეჩეთებში კი მთელი სიგრძე-სიგანით გაშლილია რელიგიური კულტის მსახურება. თანდათანობით ინერგება ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, შემოდის ოსმალური გადასახადები და საგადასახადო სისტემა, რომელიც მთელს ამიერკავკასიაში მკვიდრდებოდა. ჩვენ მხოლოდ თბილისში არსებულ ეკლესიებს შევეხეთ, რომლებშიც ოსმალებმა ფართოდ დანერგეს ოსმალური ვალდებულებანი და გამოსაღებები. ჩვენ მხოლოდ ის ვალდებულებანი განვიხილეთ, არ შევხებივართ იმ უდიდეს სისტემას ოსმალური ფეოდალიზმისა, რომელშიც წარმოდგენილია გადასახადები და საგადასახადო სისტემა, ეს ძალიან დიდი და ფართო თემაა. იგი მოიცავს მთელს ამიერკავკასიას. სხვაგან უფრო დაწვრილებით შევეხებით საქართველოს

ცალკეულ რეგიონებს, კერძოდ, საციციანოს, საამილახვროს, ბორ-ჯომის ხეობას, მუხრანს, ქსნისა და არაგვის ხეობას, თრთიალეთს, გომარეთსა და ყაიყულს.

TBILISI CHURCHES AND OTTOMAN OBLIGATIONS ACCORDING TO THE GRAND DEFTER OF TBILISI VILAYET OF 1728

Nodar Shengelia

SUMMARY

The paper lists all the churches, described specially by the Ottomans and entered in the "Grand Defter of Tbilisi Vilayet". All the churches had their own parishes. Ottoman socio-political system was gradually implemented. Ottoman taxes and taxation system were introduced throughout Transcaucasia. The events of 1728 are described in the paper.